

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან 90
წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემა
Anniversary edition dedicated to the 90th anniversary of
Akaki Tsereteli State University
Юбилейное издание, посвященное 90-летию Государственного
университета Акакия Церетели

ISSN 2346-8467

აგრო
AGRO
АГРО
NEWS

№10

ქუთაისი – Kutaisi – Кутаиси
2023

ჟურნალი წარმოადგენს
იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის კავშირისა და
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის
პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას

სარედაქციო კოლეგია:

ლორთქიფანიძე როზა – (მთავარი რედაქტორი);

სანთელაძე ნატალია- (სწავლული მდივანი);

წევრები: პაპუნიძე ვანო; შაფაკიძე ელგუჯა; ასათიანი რევაზი; კოპალიანი როლანდი; ჯაბნიძე რევაზი; კინწურაშვილი ქეთევანი; ხასაია იზოლდა; ჭაბუკიანი რანი; ქობალია ვახტანგი; ფრუიძე მაყვალა; ჩახხიანი-ანასაშვილი ნუნუ; დოლბაია თამარი; ყუბანეიშვილი მაკა; კელენჯერიძე ნინო; ყიფიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარი; კეკელიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯანი; ჯობავა ტრისტანი; წიქორიძე მამუკა; თავბერიძე სოსო; თაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზი; ბენიძე ეთერი; ჟორჯოლიანი ცირა; დუმბაძე გუგული; ნემსაძე მარიამი.

სარედაქციო კოლეგიის საზღვარგარეთის წევრები:

ჩუხნო ინა (უკრაინა); გოგთურქ თემალი (თურქეთი); თურგუტ ბულენტი (თურქეთი); ბელოკონევა-შიუკაშვილი მარინა (პოლონეთი); გასანოვი ზაური (აზერბაიჯანი); მამმადოვი რამაზანი (თურქეთი); სანტროსიანი გაგიკი (სომხეთი); სადინდიყოვი ულტემურატი (ყაზახეთი).

The magazine is a periodical scientific publication of
Imereti Agro-ecological Association and
Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.

EDITORIAL BOARD

Lortkipanidze Roza– (Editor in Chief);

Santeladze Natalia– (Academic Secretary);

Members: Papunidze Vano; Shapakidze elguja; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Khasaia Izolda ; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; Xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Tabagari Marieta; Kiladze Ramaz; Benidze Eter; Zhorzholiani Tsira; Dumbadze Guguli; Nemsadze Mariam.

FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD

Chuxno Inna (Ukraine); Gokturk Temel (Turkey); Turgut Bulent (Turkey); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaijan); Mammadov Ramazan (Turkey); Santrosian Gagik (Armenia); Sagyndykov Ultemurat (Kazakhstan).

Журнал представляет
Периодическое научное издание
Союза агроэкологической ассоциации Имерети и
Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Лорткипанидзе Роза – (главный редактор);

Сантеладзе Наталия – (Ученый Секретарь);

Члены: Папунидзе Вано; Шафакидзе Элгуджа; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабнидзе Реваз; Кинцурашвили Кетеван; Хасая Изольда; Чабუкиანი Рани; Кобалия Вахтанг; Пруидзе Маквала; Чახჩიანი-ანასაშვილი ნუნუ; დობაია თამარ; Кубანეიშვილი Мака; Келенджеридзе Нино; Кипиани Нино; Хеладзе Маия; Киласония Эмзар; Кевлишвили Манана; Чхиродзе Дареджан; Джобавა Тристан; Цикоридзе Мамука; Тавберидзе Сосо; Табагари Мариета; Киладзе Рамаз; Бенидзе Етер; Жоржوليани Цира; Думбадзе Гугули; Немсадзе Мариам.

ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Чухно Инна (Украина); Гоктурк Темал (Турция); Тургут Булент (Турция); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азербайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндигов Ултемурат (Казахстан)

თამილა არდემანაშვილი, ინგა გაფრინდაშვილი, ნანა ჯაბნიძე – კლიმატური ცვლილებების გავლენა აჭარის შავიზღვისპირა ტერიტორიაზე გავრცელებული ბუტია პალმის ტექნიკურ მახასიათებლებზე _____	9
ნინო კვლენჯერიძე, ნატალია სანთელაძე – ნიადაგური კვლევები დაფნის კულტურის გავრცელებისთვის (კახეთის რეგიონი, საქართველო) _____	12
როლანდ კოპალიანი, ანდრო ხეთერელი – “ფიზალისის (<i>physalis peruviana</i>) გავრცელების პერსპექტივები საქართველოში _____	16
Roland Kopaliani, Nino Kipiani – Results of Phenological Observation of Hybrid Relatives Obtained by Crossing with Spontaneous Mutants of Lemon Meyer Trifoliolate _____	20
როზა ლორთქიფანიძე, ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი, გიორგი იაკობაშვილი – ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებზე ქლიავის (<i>Prunus domestica</i>) სამრეწველო წარმოება იმერეთის რეგიონში _____	23
ნინო მარგველაშვილი – მიღწევები ცხოველთა ტრანსგენეზში _____	26
მაკა ყუბანეიშვილი – გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალო - სამკურნალო მცენარეები _____	36
ნანა ჯაბნიძე, რეზო ჯაბნიძე, ლაშა ზოიძე, ხათუნა ბოლქვაძე – აბორიგენული საღვინე ვაზის ჯიში „საწურის“ ფენოლოგიური დაკვირვების შედეგები ქედის მუნიციპალიტეტის პირობებში _____	42
ჯინჭარაძე ნატალია – ტუნგის ხე – ცხიმ-ზეთოვანი კულტურა, მისი აგროტექნოლოგია და სამრეწველო დანიშნულება _____	47
Tristan Jobava – Results of Studying the Intensity of Photosynthesis, Respiration Activity, Pigments and Sugars in Leaves of Lemon Dioskuria According to Periods _____	52
თამარ ხუციძე – ეკოლოგიურად სუფთა მწვანე ჩაის ხსნადი ექსტრაქტის სამკურნალო მეთოდები ინფიცირებული, ძნელად შესახორცებელი ჭრილობებისათვის _____	56

ნუნუ დიაკონიძე, ნინო ხონელიძე – ქუთაისის ბოტანიკური ბაღის
ფლორის გვიმრები _____ 61

ნანა გოგიშვილი – საქართველოში გავრცელებული ტყემლის ჯიშური ფორმების ქიმიურ-ტექნოლოგიური გამოკვლევა _____	71
ნანა გოგიშვილი – შრომის უსაფრთხოება ტურიზმის სფეროში, გამოწვევები, პრობლემები _____	78
ლუიზა გორგოძე, მარინა კუცია – ზამბახისებრთა (Iridaceae) ოჯახის ზოგიერთი იშვიათი, გადაშენებადი და ენდემური სახეობების ex-situ კონსერვაცია ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში და მათი გამოყენება დეკორატიულ მეზალოგიაში _	83
ეკატერინა გუბელაძე – ზოგიერთ ლამაზადმოყვავილე მერქნიანების ყვავილობა ქუთაისის ბაღებსა და სკვერებში _____	94
სოსო თავბერიძე, ემზარ კილასონია, შორენა კაპანაძე – სატრაქტორო აგრეგატის კინემატიკის ზოგიერთი საკითხი ფერდობული მიწათმოქმედების პირობებში _____	101
ეკატერინე კახნიაშვილი – მცენარეული ნედლეულით ჩაის პროდუქციის სამკურნალო-პროფილაქტიკური თვისებების ამაღლება _____	107
ზაზა პაპიძე, შორენა ფხაკაძე – ინვერტორების როლი მზის ელექტროენერგეტიკული სისტემების გამართულ მუშაობაში _____	112
იზა ოჩხიკიძე – მცირე არქიტექტურული ფორმების როლი ლანდშაფტურ დიზაინში _____	118
ცირა ჟორჟოლიანი, ემზარ გორდაძე – ეკოლოგიური კრიზისი და მისი შედეგები _____	123
მაყვალა ფრუიძე, შორენა ჩაკვეტაძე, ეკატერინე ბენდელიანი – კენკროვანი მცენარეებისაგან ბალახოვანი ჩაის მიღების ტექნოლოგია	130
ნანა ქათამაძე – ხილის სხვადასხვა ჯიშების ხელოვნური შრობა _____	137
ქეთევან ქუთელია – ყვავილნარი ყვავილების გარეშე _____	142
ქეთევან ქუთელია – ბონსაის ხელოვნება _____	146
მამუკა წიქორიძე – ატომური ტექნიკის გამოყენება სოფლის მეურნეობის მექანიზაციასა და ელექტროფიკაციაში _____	151

მანანა კობახიძე, პაპუნა კუპრაშვილი – სამედიცინო ტურიზმი და საქართველო _____	157
სერგო ცაგარეიშვილი, მანანა კობახიძე – ისტორიულ-რომანტიკული ტური ქუთაისში _____	161

ეთერ ბენიძე, გიორგი კილაძე – მცენარეების მნიშვნელობა დასახლებული ტერიტორიების ტემპერატურული რეჟიმის ფორმირებაში _____	173
Kopalian Lia, Kiladze Giorgi, Ekaterine Arveladze, Liana Gogelia – Resort "Dzughuri" (source of immortality) its natural diversity, healing properties and the possibility of tourism development _____	181
Roza Lortkipanidze, Natalia Santeladze – Greenhouse gas emissions in Georgia's agroecological environment _____	184
აკაკი ნასყიდაშვილი – მთიანი აფხაზეთის ბუნება _____	186
ნინო მოწინიძე – მდინარე ხანისწყლის ხეობის გეოგრაფიული მდებარეობა და ბუჩქნარ-ბალახოვანი მცენარეულობა _	193
ქეთევან ჩიქვინიძე, ნინო მარგველაშვილი – რიდონეტით გამოწვეული ფიზიოლოგიური და გენეტიკური ცვლილებები სოიას ტესტ სისტემაში _____	197
მაია ხელაძე – წყლის რესურსების დაბინძურების გამომწვევი მიზეზები და შედეგები _____	207
გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, კონსტრუქტორი, პედაგოგი _	212
Prominent Georgian Scientist, Constructor, pedagogue _____	217

4

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

NATURAL SCIENCES

ЕСТЕСТВЕННЫЕ НАУКИ



მცენარეების მნიშვნელობა დასახლებული ტერიტორიების ტემპერატურული რეჟიმის ფორმირებაში

ეთერ ბენიძე

სმმკ, ასოც. პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

გიორგი კილაძე

აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

კვლევის მიზანი იყო მერქნიანი მცენარეების ნარგაობის გავლენის შესწავლა გარემოს ტემპერატურაზე. შესწავლილ იქნა ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის პარკში და მის მოსაზღვრე ტერიტორიაზე ტემპერატურების კავშირი მცენარეების მიერ შექმნილი ჩრდილის ინტენსივობასთან - გარემოს განათებულობასთან. კვლევის შედეგად დადგინდა იქნა, რომ მერქნიანი მცენარეების ნარგაობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ზაფხულის ცხელ პერიოდში ტემპერატურული პირობების ფორმირებაზე და ეს გავლენა დამოკიდებულია მცენარეების მიერ შექმნილი ჩრდილის ინტენსივობაზე, ასევე მოსაფალტებულ ზედაპირებთან და შენობა-ნაგებობებთან სიახლოვეზე. კვლევის პერიოდში მაქსიმალური ტემპერატურა, 39,0-39,5°C, დაფიქსირდა დაუჩრდილავ, ასფალტით და ბეტონით დაფარულ ადგილებში, სადაც განათებულობა 10 000 ლუქსი იყო. ტემპერატურის სხვაობა მზიან, მოსაფალტებულ, შენობა-ნაგებობებთან ახლოს არსებულ წერტილსა და პარკის შიგნით, ზრდასრული მერქნიანი მცენარეების მიერ შექმნილ კორომებში თითქმის 6,5°C დაფიქსირდა (32,0-39,5°C), ხოლო განათებულობის სხვაობა 9100 ლუქსი (900-10000 ლუქსი) იყო.

გლობალური დათბობა, ტემპერატურა, განათებულობა, ხეები, გამწვანება.

კლიმატის გლობალური ცვლილება ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევაა თანამედროვე პირობებში, რომლის შედეგებსაც უკვე რეალურად გრძნობს დედამიწის ყველა ბინადარი. 2012 წელს საქართველოში ჩატარებული კვლევების შედეგად, რომლის მიზანი იყო საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებებისადმი ადაპტაცია და მისი ზეგავლენის შერბილება, გამოთქმულია მოსაზრება, რომ 2021-2050 წლებში, 1961-1990 პერიოდთან შედარებით, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საშუალო წლიური ტემპერატურა 1,3-1,6°C-ით მოიმატებს, ხოლო 2071-2100 წლისთვის 3,0-4,0°C-ით (2). გამომდინარე აქედან ქალაქების და სხვა დასახლებული ტერიტორიების ზაფხულის მაღალი ტემპერატურებისაგან დაცვა და კლიმატის შერბილება ერთ-ერთი აქტუალური საკითხია.

მრავალი კვლევა არსებობს, რომელიც ადასტურებს მცენარეების დადებით გავლენას გარემოს ტემპერატურული პირობების რეგულირებაზე და მიკროკლიმატის ფორმირებაზე, განსაკუთრებით ეს ეხება ქალაქების და სხვა დასახლებული ტერიტორიების ეკოლოგიურ მდგომარეობას და ზაფხულის პირობებში დაფიქსირებულ მაღალ ტემპერატურებს.

ტერიტორიაზე არსებული ჰაერის ტემპერატურა ვერ იძლევა სრულ წარმოდგენას რეალურად არსებულ თბურ მდგომარეობაზე. განაშენიანების პირობებში დიდი მნიშ-

ვნელობა ენიჭება ინსოლაციურ და რადიაციულ რეჟიმს. მზის ჯამური რადიაცია შედგება: მზის პირდაპირი რადიაციისაგან (ინსოლაციისაგან); გაბნეული რადიაციისაგან, რომელსაც ასხივებს ცის თაღი; მოკლელტალლოვანი რადიაციისაგან, რომელსაც ირეკლავს ზედაპირები; გრძელტალლოვანი, თბური გამოსხივებისაგან, რომელსაც ასხივებს გამთბარი ბუნებრივი და ხელოვნური ზედაპირები.

მზან დღეებში ხეივნების, გზების, მოედნების, საინჟინრო და არქიტექტურული ნაგებობების, მცირე არქიტექტურული ფორმების და სხვა ობიექტების ზედაპირები განიცდიან მზის პირდაპირ ზემოქმედებას, ხოლო მზის ჩასვლის შემდეგ ისინი კიდევ დიდხანს ასხივებენ სითბოს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიკროკლიმატზე და იწვევს გარემოს გადახურებას და ტემპერატურის მომატებას. კვლევებით დადგენილია, რომ 65°C-მდე გაცხელებული ზედაპირის გამოსხივება 0,48 კალ/სმ² შეადგენს, რაც თითქმის ნახევარია ზედაპირზე დაცემული მზის ინსოლაციის ინტენსივობის. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს გზის საფარების სითბოს გაცემის მაჩვენებელს. ზაფხულში ქალაქების შენობა-ნაგებობებთან ტემპერატურა მნიშვნელოვნად მაღალია ვიდრე გამწვანებულ ტერიტორიებზე.

ზედაპირიდან გამოსხივებული და არეკვლილი რადიაციის ინტენსივობა და მისი უარყოფითი გავლენის რადიუსი განისაზღვრება მზის დაცემული რადიაციის რაოდენობით და ამ ზედაპირის „ალბედო“-თი. „ალბედო“ არის რაიმე სხეულის ზედაპირიდან არეკვლილი სხივური ნაკადის ფარდობა მასზე დაცემულ სხივურ ნაკადთან, ის ახასიათებს სხეულის ზედაპირის არეკვლის უნარს. აღნიშნული მაჩვენებელი მაქსიმალური აქვს თეთრი ფერის სხეულებს, ხოლო მინიმალური შავს.

პროცენტებში გამოსახული რამოდენიმე მერქნიანი მცენარის ალბედო შემდეგია: მთრთოლავი ვერხვი – 61.5, ჩვეულებრივი ცხენისწაბლი – 51.5, ყუნწიანი მუხა – 50.5, ჭადრისფოთოლა ნეკერჩხალი – 50.0, შავი ვერხვი – 39.5, ჩვეულებრივი არყის ხე – 38.0, ჩვეულებრივი ცაცხვი – 23.0. (3)

მცენარეები, რომლებსაც აქვთ ალბედოს მაღალი მაჩვენებელი უფრო კარგად იცავენ გარემოს თბური გამოსხივებისაგან და მეტად უნდა იქნენ გამოყენებული გარემოს გამწვანებაში. მცენარეების სხვადასხვა სახეობებს აქვთ უნარი განსხვავებულად არეკვლონ, შთანთქონ და გაატარონ მზის სხივები მათი ფოთლების მორფოლოგიური აგებულების, ვარჯის სტრუქტურის და ზომების შესაბამისად. სითბოს შემცირების საუკეთესო ეფექტს იძლევიან მსხვილი ფოთლების მქონე მცენარეები. გასათვალისწინებელია, რომ რაც უფრო წვრილია მცენარის ფოთლები, მით უფრო ნაკლებ თბურ ენერჯიას აირეკლავს, ხოლო წიწვოვანი მცენარეების ალბედო მნიშვნელოვნად ნაკლებია ვიდრე ფოთლოვანების.

მწვანე ნარგაობის გამაგრებულ ეფექტს მნიშვნელოვნად განაპირობებს ის, რომ მცენარეები სითბოს დიდ ნაწილს ხარჯავენ ფოთლების ზედაპირიდან წყლის აორთქლებაზე და ზრდიან გარემოს შეფარდებით ტენიანობას. ფოთლების ტემპერატურა მნიშვნელოვნად ნაკლებია ვიდრე გარემოს. ხე მცენარეებით შექმნილი კორომების გამაგრებელი ეფექტი კიდევ უფრო ძლიერდება ტემპერატურათა სხვაობის ხარჯზე წარმოქმნილი ჰაერის ნაკადების შექმნით. კვლევებით დადგენილია, რომ 1 ჰა ფართობ-

ზე მოზარდ 198 ძირ ევროპული წიფელის მცენარეს საშუალოდ 23,6 მილიონი ფოთო-ლი აქვს, რომელთა საერთო ფართობი 5,6 ჰა-ს შეადგენს, ხოლო 790 ძირ მჩხვლეტავ ნაძვს 1 ჰა-ზე საშუალოდ 4128 მილიონი წიწვი აქვს, რომელთა საერთო ფართობი საშუალოდ 12,8 ჰა-ს შეადგენს (3).

მცენარეებზე ფოთლების განლაგება უმეტესად მოზაიკურია, შესაბამისად ისინი არ ჩრდილავენ ერთმანეთს. ერთიანი ზედაპირის შემქმნელი მცენარეები უფრო კარგად ირეკლავენ მზის რადიაციას, ხოლო მისი შთანთქმა ძლიერდება ვარჯის გამჭოლობის შესაბამისად. ვარჯის გამჭოლობის კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც ვარჯის ქვემ მზის პირდაპირი რადიაციის ინტენსივობის შეფარდება ფართობის ერთეულზე დაცემული პირდაპირი რადიაციის საერთო ნაკადთან.

მერქნიანი მცენარეების ვარჯის მჭიდრო ჰორიზონტალური შეერთების შემთხვევაში მიწის ზედაპირზე ეცემა მზის საერთო რადიაციის მხოლოდ 10%. შესაბამისად ზაფხულის პერიოდში გარემოს ტემპერატურის შესამცირებლად სასურველია გამოყენებულ იქნას მაღალი, მჭიდრო ვარჯის მქონე მცენარეები, რომლებსაც შეუძლიათ გაზონების, საბაღე გზების, მოსასვენებელი და სპორტული მოედნების დაჩრდილვა, არქიტექტურული და საინჟინრო ობიექტების კედლების გადახურვისაგან დაცვა. ხეები, რომლებსაც აქვთ კარგად განვითარებული, მაღალი, აჭურული ვარჯი ამცირებენ რადიაციულ და კონვეციურ ტემპერატურას გარემოს განიავეების გადიდების ხარჯზე.

ჰაერის ყველაზე მაღალი ტემპერატურებით ხასიათდებიან მჭიდრო განაშენიანების მქონე, ასფალტის ზედაპირებით დაფარული გზების და მოედნების მქონე ქალაქის ცენტრალური ნაწილები. რაც უფრო დიდია ქალაქი, მით უფრო მეტია ტემპერატურის სხვაობა განაშენიანებულ ადგილებსა და მწვანე ნარგაობით დაფარულ მსხვილ მასივებს შორის. მწვანე ნარგაობის მცირე ზონები და მეჩხერი გამწვანება სუსტ გავლენას ახდენს ტემპერატურულ რეჟიმზე. ქალაქის გამწვანების მხოლოდ დიდ ფართობებს (6 ჰა-მდე) შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინონ გარემოს ტემპერატურაზე. კვლევებით დადგენილია, რომ ჰაერის ტემპერატურა ქალაქის მწვანე მასივის შიგნით დაახლოებით 2,0-3,0°C-ით ნაკლებია ქალაქის ცენტრალურ ნაწილებთან შედარებით (4).

კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა ქალაქ ქუთაისში მოზარდი მერქნიანი მცენარეებით შექმნილი ნარგაობების გავლენა გარემოს ტემპერატურაზე ზაფხულის პირობებში. კვლევა განხორციელდა 2022 წლის აგვისტოს თვეში 1 საათის განმავლობაში (14.30-15.30 სთ). შესწავლილ იქნა ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის პარკში და მის მოსაზღვრე ტერიტორიაზე, სულ 8 წერტილში, ტემპერატურების კავშირი მცენარეების მიერ შექმნილი ჩრდილის ინტენსივობასთან - გარემოს განათებულობასთან.

განათებულობის გაზომვა მოვახდინეთ “LUX LED Light Meter“ საზომი აპარატით, რომელიც ზომავს დროის გარკვეულ პერიოდში სინათლის წყაროს მიერ გამოყოფილი სინათლის მთელ რაოდენობას (Lux ერთეულებში). აპარატი ზომავს განათებულობას იმ ტალღის სიგრძეში, რომელიც შესამჩნევია ადამიანის მხედველობისათვის (400-740 ნმ). კვლევის პერიოდში აზომვებს ვახდენდით მიწის ზედაპირიდან 1,5 მ-ის სიმაღლეზე. გავზომეთ ადგილზე არსებული განათებულობა და გარემოს ტემპერატურა.

მოსწავლე ახალგაზრდობის პარკი მდებარეობს ქალაქის ცენტრიდან სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. მისი გაშენება 1957 წლიდან დაიწყო, ხოლო ფართობი თითქმის 8 ჰექტარია. პარკს ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან ჭავჭავაძის გამზირი ესაზღვრება, ჩრდილო-დასავლეთით - გუგუნავს ქუჩა, დასავლეთით (რკალურად) - ტ. შევჩენკოს ქუჩა, სამხრეთ-აღმოსავლეთით - თაბუკაშვილის ქუჩა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით - საცურაო აუზის მიმდებარე ტერიტორია (სურ. 1).



სურათი 1. მოსწავლე ახალგაზრდობის პარკში და მის მახლობლად ჩატარებული კვლევის ადგილები

პარკს თითქმის მართკუთხედის ფორმა აქვს, რომლის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი სამკუთხედის ფორმით, კუთხით დასავლეთისკენ არის მიმართული. პარკში შესასვლელი იწყება ჭავჭავაძის გამზირის მხრიდან 45 მ სიგრძის და 4 მ სიგანის კოლონადით, საიდანაც ვიზიტორი ხვდება ნახევარწრის ფორმის მოედანზე, შემდეგ იწყება პარკის მთელი სიგრძის გადამკვეთი, თაბუკაშვილის ქუჩის პარალელური, ცენტრალური გზა, რომლის პირველ მესამედ ნაწილში 10 მ დიამეტრის მოასფალტებული მოედანია, სადაც ამჟამად სკეიტპარკია მოწყობილი. პარკის დანარჩენი ტერიტორია დაყოფილია თარგებად, რომელთა შორის 4,0-6,0 მ სიგანის გზები და 2,5-3,0 სიგანის ბილიკებია.

პარკში იზრდება 64 სახეობის 6000-მდე ძირი მერქნიანი ხე და ბუჩქოვანი მცენარე, რომლებიც თითქმის 70 წლის არიან, კარგად ვითარდებიან, ყვავილობენ და ნაყოფმსხმოიარობენ. ხე მცენარეებიდან ყველაზე მეტია: მბრწყინავი კვიდო (327 ძირი), ჰიმალაის კედარი (324 ძირი), მარადმწვანე კვიპაროზი (306 ძირი), აღმოსავლეთის ჭადარი (295 ძირი), შავი ვერხვი (157 ძირი), დიდყვავილა მაგნოლია (68 ძირი) (1).

კვლევის 1 წერტილი თაბუკაშვილის ქუჩაზე იყო შერჩეული, რესტორან „შედევი“-ს მახლობლად. აქ საფარი მოასფალტებულია, ხოლო მერქნიანი მცენარეები ახლოს არ არის. აღნიშნულ წერტილში მზეზე დაფიქსირდა 39,2°C ტემპერატურა, ხოლო განათებულობა 10000 ლუქსი იყო. ასევე მაღალი ტემპერატურა დაფიქსირდა მე-2 წერტილში, რომელიც პარკის შიგნით არსებულ, მოასფალტებულ და ბეტონის კონსტრუქციებში ჩასმელ მოედანზე - სკეიტპარკში იყო შერჩეული. აქ მზეზე ტემპერატურა 39,5°C დაფიქსირდა, ხოლო განათებულობა 10 000 ლუქსი იყო (სურ. 1, ცხრ. 1).

ქ. ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის სხვადასხვა წერტილში ტემპერატურული პირობების და განათებულობის კვლევის შედეგები

ცხრილი 1

№	მდებარეობა	მცენარეების ასორტიმენტი	განათება (ლუქსი)		ტემპერატურა (t°C)
			ჩრდილში	მზეზე	
1	თაბუკაშვილის ქუჩა - რესატორანი „მედევრი“-ს წინ (ასფალტის საფარი)	არ არის		10 000	39,2
2	მრგვალი მოედანი - სკეიტპარკით (ბეტონის საფარი)	არ არის		10 000	39,5
3	ცენტრალური მოედნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი	მშვენიერი კატალპას სრული ჩრდილი	5500-5700		35,2
4	პარკის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი - ტროტუართან	ჰიმალაის კედრების, შავი ვერხვების ნარგაობა	3450-3600		34,0
5	პარკის აღმოსავლეთი კუთხე, გამწვანებული ზოლის შიგნით	ჰიმალაის კედარი, დიდყვავილა მაგნოლია, კავკასიური ცაცხვი, ირმის რქა, მბრწყინავი კვიდო - ჯგუფური ნარგაობა	1400-1500		34,0
6	ბაღის ცენტრალურ ნაწილში, ჰორიზონტალური გადამკვეთი გზა - ორივე მხარეს კორომები	აღმოსავლეთის ჭადარი, დიდყვავილა მაგნოლია, კავკასიური ცაცხვი, მბრწყინავი კვიდო, ჰიმალაის კედარი - ჯგუფური ნარგაობა	1200-1300		33,5
7	ცენტრალური გზის დასავლეთით, ბავშვთა სათამაშო მოედნის პირდაპირ	აღმოსავლეთის ჭადარი, დიდყვავილა მაგნოლია, კავკასიური ცაცხვი, მბრწყინავი კვიდო, ჰიმალაის კედარი - ჯგუფური ნარგაობა	1000-1200		33,0
8	ბაღის სამხრეთი ნაწილი, ცენტრალური გზის დასავლეთი	აღმოსავლეთის ჭადარი, მარადმწვანე კვიპაროზი, დიდყვავილა მაგნოლია, კავკასიური ცაცხვი, მბრწყინავი კვიდო, ჰიმალაის კედარი - ჯგუფური ნარგაობა	900-1100		32,0

კვლევისათვის შერჩეული სხვა წერტილები ხე მცენარეების ჩრდილის ქვეშ იყო მოქცეული. მე-3 წერტილი მდებარეობდა მრგვალი მოედნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში არსებულ საბაღო სკამთან, ჩვეულებრივი ცხენისწაბლის ჩრდილის ქვეშ, სადაც განათებულობა 5500-5700 ლუქსი იყო, ხოლო ტემპერატურამ 35,5°C შეადგინა. მე-4 წერტილი თაბუკაშვილის ქუჩის მოსაზღვრე ტროტუართან ახლოს, ჰიმალაის კედრების და შავი ვერხვების ჩრდილში იყო, სადაც ტემპერატურა 34,0°C დაფიქსირდა, ხოლო განათებულობა 3450-3600 ლუქსი. მე-5 წერტილი პარკის ჩრდილოეთ ნაწილში, აღმოსავლეთ კუთხეში იყო შერჩეული, მწვანე ნარგავების შიგნით. აქ ტემპერატურა 34,0°C იყო, ხოლო განათებულობა 1400-1500 ლუქსი. 6, 7 და 8 წერტილები პარკის ცენტრალურ ნაწილში, გზის დასავლეთით, კორომების შიგნით იყო შერჩეული, სადაც ძირითადად მაღალმოზარდი ფოთლოვანი მცენარეები იზრდება (დასავლეთის ჭადარი, კავკასიური ცაცხვი, დიდყვავილა მაგნოლია, მბრწყინავი კვიდო), თანაც ადგილები ყველა მხრიდან მწვანე თარგებით არის გარშემორტყმული. აქ ტემპერატურა 32,0-33,0°C იყო, ხოლო განათებულობა 900-1300 ლუქსის ფარგლებში მერყეობდა (ცხრ. 1, სურ. 1).

კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ რომ:

- მერქნიანი მცენარეების ნარგავობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ზაფხულის ცხელ პერიოდში ტემპერატურული პირობების გაუმჯობესებაზე და ეს გავლენა დამოკიდებულია მცენარეების მიერ შექმნილი ჩრდილის ინტენსივობაზე, ასევე მოასფალტებულ ზედაპირებთან და შენობა-ნაგებობებთან სიახლოვეზე;

- კვლევის პერიოდში მაქსიმალური ტემპერატურა, 39,0-39,5°C დაფიქსირდა და უჩრდილავ, ასფალტით და ბეტონით დაფარულ ადგილებში, სადაც განათებულობა 10 000 ლუქსი იყო;

- გამწვანებულ ტერიტორიებზე, ხეების ჩრდილში, გარემოს ტემპერატურაზე გავლენას ახდენს მცენარეების ასორტიმენტი, ზომები, დარგვის სიმჭიდროვე და შესაბამისად მათ მიერ შექმნილი დაჩრდილვის ხარისხი, ანუ განათებულობის დაბალი მაჩვენებელი, ასევე გზებთან, მოედნებთან, შენობა-ნაგებობებთან დაშორება;

- ტემპერატურის სხვაობა მზიან, მოასფალტებულ, შენობა-ნაგებობებთან ახლოს არსებულ წერტილსა და პარკის შიგნით, ზრდასრული მერქნიანი მცენარეების მიერ შექმნილ კორომებში თითქმის 6,5°C დაფიქსირდა (32,0-39,5°C), ხოლო განათებულობის სხვაობა 9100 ლუქსი (900-10000 ლუქსი);

- ქალაქებში და სხვა დასახლებულ ტერიტორიებზე თბური რეჟიმის შესარბილებლად მერქნიანი მცენარეები უნდა განლაგდეს გზების და ხეივნების, საინჟინრო და არქიტექტურული ნაგებობების ორიენტაციის გათვალისწინებით, მეტად გამოვიყენოთ ვერტიკალური გამწვანება, მოსაპირკეთებლად გამოვიყენოთ ოპტიმალური ჰიგიენული მახასიათებლების მქონე საფარები;

- თბური პირობების შესარბილებლად კარგ შედეგს იძლევა დასახლებულ ტერიტორიებში მსხვილი მწვანე მასივების სოლისებრი შეჭრა, რომლებიც ცენტრს აკავშირებენ ქალაქის მოსაზღვრე მწვანე ზონებთან. ხეების და ბუჩქების განთავსების სიმჭიდროვე უნდა უზრუნველყოფდეს ტერიტორიის არა ნაკლებ 50%-ის დაჩრდილვას. გარე-

მოს ტემპერატურულ რეჟიმზე გამწვანების ეფექტი შეიძლება მნიშვნელოვნად გაიზარდოს მწვანე ნარგავებისა და წყლოვანი ზედაპირების შერწყმით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კილაძე რ., ბენიძე ე., გუბელაძე ე., ოჩიკვიძე ი. ქალაქ ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური მონიტორინგი და მხატვრულ-ესთეტიკური იერსახის გაუმჯობესების ღონისძიებები. აწსუ მოამბე. 2013. 34-38.
2. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გზამკვლევი (USAID-from the american people), თბილისი, 2016. 261 გვ.
3. <https://plus-one.rbc.ru/society/ozelenenie-delaet-zhizn-v-gorodah-bolee-komfortnoy> - Озеленение делает жизнь в городах более комфортной.
4. <https://www.eea.europa.eu/publications/who-benefits-from-nature-in> - European Enviroment Agency.

Summary

The Importance of Plants in the Formation of the Temperature Regime of Populated Areas

Eter Benidze

Candidate of Agricultural Sciences, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Giorgi Kiladze

Academic Doctor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

The aim of the research was to study the influence of woody plants on ambient temperature in summer. The relationship between the temperatures in the Kutaisi Youth Park and its bordering area and the intensity of the shade created by the plants - the illuminance of the environment - was studied. As a result of the research, it was determined that the planting of woody plants has a significant effect on the improvement of temperature conditions in the hot summer period, and this effect depends on the intensity of the shade created by the plants, as well as on the proximity to paved surfaces and buildings. During the study period, the maximum temperature, 39.0-39.5°C, was recorded in unshaded, asphalt and concrete covered areas, where the illumination was 10,000 lux. The difference in temperature between a sunny, paved spot near buildings and a grove of mature woody plants inside the park was almost 6.5°C (32.0-39.5°C), and the difference in illuminance was 9100 lux (900-10000 lux).

Keywords: global warming, temperature, lighting, trees, greenery.

Global climate change is one of the main challenges in modern conditions, the consequences of which are already felt by all the inhabitants of the earth. There are many studies that confirm the positive influence of plants in the regulation of environmental temperature conditions and the formation of micro climate, especially in the ecological condition of cities and other populated areas and the high temperatures observed in summer.

On sunny days, the surfaces of alleys, roads, squares, engineering and architectural structures, small architectural forms and other objects are directly affected by the sun, and after sunset they emit heat for a long time, which significantly affects the microclimate and causes the environment to overheat and increase in temperature. Studies have determined that the radiation of a surface heated to 65°C is 0.48 cal/cm², which is almost half of the intensity of solar insulation falling on the surface. The heat release rate of road surfaces is very important. In summer, the temperature near buildings and structures in cities is significantly higher than in green areas.

The intensity of radiation emitted and reflected from the surface and the radius of its negative influence are determined by the amount of solar radiation and the "albedo" of this surface. "Albedo" is the ratio of the radiant flux reflected from the surface of any body to the radiant flux falling on it, it characterizes the ability of the surface of the body to reflect. The mentioned indicator has the maximum for white bodies, and the minimum for black.

Plants with a high albedo value better protect the environment from thermal radiation and should be used more in greening the environment. Different types of plants have the ability to reflect, absorb and transmit sunlight differently according to the morphological structure of their leaves, stem structure and size. Plants with large leaves provide the best heat reduction effect. It should be taken into account that the thinner the leaves of the plant, the less heat energy will be reflected, and the albedo of coniferous plants is significantly lower than that of deciduous ones.

The arrangement of leaves on plants is mostly mosaic, they do not shade each other. Plants forming a uniform surface reflect solar radiation better, and its absorption is enhanced in accordance with the penetration of the plant. The coefficient of penetration of the roof is defined as the ratio of the intensity of direct solar radiation under the roof to the total flow of direct radiation falling per unit area.

The central parts of the city with densely built-up areas, roads and squares covered with asphalt surfaces are characterized by the highest air temperatures. The larger the city, the greater the temperature difference between the built-up areas and the large massifs covered with green vegetation. Small areas of green and less dense vegetation have a weak influence on the temperature regime. Only large areas of urban greening (up to 6 ha) can significantly affect the ambient temperature. According to studies, the air temperature inside the green massif of the city is about 2.0-3.0°C lower than in the central parts of the city.

The aim of the research was to study the influence of plantations created with young woody plants in Kutaisi on the temperature of the environment in summer conditions. The research was carried out on August 24, 2022 for 1 hour (2:30-3:30 p.m.). In Kutaisi Youth Park and its bordering area, at a total of 8 points, the connection of temperatures with the intensity of the shade created by plants - the ambient illumination was studied.

We measured the luminance with the "LUX LED Light Meter" measuring device, which measures the total amount of light emitted by the light source (in Lux units) in a certain period of time. The device measures the brightness in the wavelengths that are visible to the human eye (400-740 nm). During the research period, we took measurements at a height of 1.5 m from the ground surface. We measured the luminance and temperature of the environment.

Youth Park is located in the south-west part of the city center. Its cultivation began in 1957, and the area is almost 8 hectares. The park is bordered by Chavchavadze Avenue in the northeast, Gugunava Street in the northwest, Shevchenko Street in the west, to the southeast - Tabukashvili Street, and to the southwest - the area around the swimming pool.

The park has an almost rectangular shape, the northwestern part of which is in the form of a triangle, with an angle directed to the west. The entrance to the park starts from the side of Chavchavadze Avenue with a 45 m long and 4 m wide colonnade, from where the visitor enters a semi-circle-shaped square, then the central road that crosses the entire length of the park, parallel to Tabukashvili Street, begins in the first third of which there is a 10 m diameter asphalted square, where a skate park is currently arranged. The rest of the park area is divided into patterns, between which there are 4.0-6.0 m wide roads and 2.5-3.0 m wide paths.

There are 64 species of 6000 woody trees and shrubs growing in the park, which are almost 70 years old, develop well, flower and bear fruit.

1 point of the research was selected on Tabukashvili Street, near the "Shedevri" restaurant. Here the pavement is paved, and woody plants are not nearby. At the mentioned point, the temperature of the sun was 39.2°C, and the luminance was 10,000 lux. High temperature was also recorded at point 2, which was selected in the skate park, which is inside the park, and is covered with asphalt and concrete structures. Here, the temperature in the sun was 39.50C, and the luminance was 10,000 lux.

